



საქართველოს
ბიბლიოთეკა

შინაარსი: თანამედროვე ქალაქის მოვალეობა ნ. ყორღანიასა. — სხვა-და-სხვა ამბავი. — „გვალის“ კორესპონდენტები. — გვირიდან გვირამდე. — ჩვენი სახიობა მაზაკვალისა. — ჩემი მეგობარ, ლექსი კ გოგოლაძისა. — წერილი ქეთაისიდან ისისა. — „გცნობრობთ“! ეტიუდი (დასასრულ.) შ. არაგვისპირელისა. — წერილი რედაქციის მიმართ და განცხადება.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც აქამდის რედაქცია იმყოფებოდა.

თამარ ღვთისმშობლის დიდი სურათი (ფერადი წამლებით) დღეს იქით გაიყიდება „ქალის“ რედაქციაში 1 მ. 50 კ. (გასაგზავნი ფოსტის ხარჯი 30 კ.)

თანამედროვე ქალაქის მოვალეობა.

I

ღვთისმშობლის ალარაისთვის სადაც არ უნდა იყოს ის, რომ თანამედროვე ცხოვრება ერთიანად თანამედროვე ქალაქზე არის დაყრდნობილი და გამაგრებული. ქალაქი — ეს ის ბოძია, რომელზედაც აღიმართება ხალხის ეკონომიური და პოლიტიკური წყობილება. ქალაქი — ეს ის აუზია, სადაც იკრიბება ერის ცხოველ-მყოფელი ნაკადულები და საიდანაც, ახალი ძალიანით აღჭურვილნი, აქეთ-იქით გადად-გადმოდიან და ანაყიერებენ იქაურობას. საზოგადო მოძრაობის სადავე ქალაქს უჭირავს ხელში. აქ ფეთქს საზოგადოების მაჯა, აქ ისმის მისი გულის ძვერა, აქ წარმოებს მისი სულის კვეთება. ქალაქი — ეს ის დაუშრეტელი შადრევანია, რომელიც შეუჩერებლივ ისერის ახალ-ახალ აზრებს, იდეებს, მოღვაწეთ და ასე გაშინ-

ვეთ წყობილებებსაც კი. ქალაქი — ეს ის ცენტრია, რომლის გარშემო ტრიალებს ერის მოძრავი და მოწინავე ელემენტი, აქ ისწრაფვის ყველა ტვირთ მძიმე და გაჭირვებული, აქ იყრის თავს ყველა ფუფუნების მძივებელი და განებეზრებული. აქ იმართვის ყოველნაირი ბრძოლა, ბრძოლა ინდივიდუალური ლუკმაპურისთვის, ბრძოლა კლასიური სამართლიანობისთვის და აქვე წყდება ყოველნაირი საჭირ-ბოროტო კითხვა, კითხვა ნაციონალური, კითხვა წოდებრივი, კითხვა პოლიტიკა-ეკონომიური, კითხვა ლიტერატურულ-არტისტიკური და სხ. და სხ. ერთი სიტყვით დღევანდელი ქალაქი ერთადერთი დერიტაა დღევანდელი ურთიერთობის. განადგურეთ ის და განადგურდება მთელი ახალი ცხოვრება, მოშალეთ ის და მოიშლება მთელი ახალი განვითარება. ქალაქმა დაიმორჩილა ყოველი და თავის გზაზე გადაიყვანა. ის თან-და-თან ვითარდება, იზრდება და ფართოვდება. და რამდენათაც სოფელი იცვლის თავის ძველებურ ელ-ფერს და ქალაქდება, იმდენათ ისიც დგება ამ საერთო ფერხულში და ამ ახალ მიმდინარეობაში სათანადო ადგილს პოულობს. ცხადია, ჩარხი ქალაქისა — არის ჩარხი ერისა, ლტოლვილება ქალაქისა — არის ლტოლვილება ხალხისა. მაშასადამე ქალაქის

ქ. მარტის სას. სარ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

მდგომარეობა, მისი ზა-კვალი, მისი აწმყო და მომავალი ყველასთვის საყურადღებო და საინტერესო უნდა იყოს. ვინ მართავს ქალაქს? რას მართავს ქალაქი? რას აკეთებს და რა უნდა გააკეთოს მან? რა არის მისი მიუტყობელი მოვალეობა? აი, ეს და მრავალი სხვა ასეთი კითხვები უეჭველია შეიცავენ ნაციონალური ცხოვრების ძირითად მიდრეკილებას. მართალია, ჩვენ, ქართველები, ძალიან გვიან გამოვედით სამოქალაქო ასპარეზზე, მართალია ქალაქებიც ცოტა გვაქვს და რაც გვაქვს, ისიც წვრილი და განუვითარებელია, მარა მიუხედავად ამისა, ქალაქის კითხვები ჩვენშიაც წინ წამოდგენ და თავისკენ მიიპყრეს საზოგადოების ყურადღება. საქმე იმაში კი არ არის, რომ ჩვენში დღეს ცოტა, ან პატარა ქალაქებია, არამედ იმ მნიშვნელობაში და მიმართულებაში, რასაც ისინი თან ატარებენ. ქალაქი არღვევს მთელ ჩვენ ძველ ცხოვრებას და თავის სახისამებრ აახლებს, და აი, სწორედ დღეს ძარღვი ჩვენი ერისა სოფლიდან ქალაქში გადადის, რაიცა იწვევს სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლას. და მართლაც, დღეს თითქმის ყველა უმთავრეს ქალაქებში ერთი საშინელი შეტაკებაა გამართული. მარა ეს ბრძოლა წარმოებს უმთავრესათ იმათთვის, თუ ვინ მართოს ქალაქი, ჩვენ თუ თქვენო. ხოლო როგორ უნდა იმართოს ქალაქი, რა პროგრამით უნდა იხელმძღვანელონ, რა დროშა უნდა გამოათინონ — ყველა ეს ბრძოლის გარეშე რჩება, ამავებზე თავს არაეინ იწუხებს, მაშინ როდესაც სწორედ ეს არის ქალაქის ძირითადი კითხვები და ამის გარეშემო უნდა ტრიალებდეს ყოველნაირი პარტიული განხეთქილება და პარტიული გამარჯვება.

რა მოვალეობა აწევს ქალაქს? რა გზას უნდა ადგეს მისი მართელობა? და საზოგადოთ, რაში უნდა მდგომარეობდეს საქალაქო, ანუ მუნიციპალური პოლიტიკა? ამ კითხვებზე სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა პასუხს იძლევიან. საშუალო საუკუნოეში ქალაქი წარმოადგენდა ხელოსანთა ბურჟს და მოედანს. ყოველივე წარმოება ხელით სრულდებოდა და რაღა გასაკვირველია ხელოსანი ქალაქში გაბატონებულიყო. ხელოსანთა დაცვა, ხელოსანობის წინწაწევა და აყვავება — ქალაქის უმთავრეს საზრუნავ საგნათ გადაიქცა. და აი, კიდევაც შემოიღეს ამქრული წყობილება, რომლის საშუალებით თვითოეული ხელოსანის საქმე, მისი აღებ-მიცემობა და უფლება-მოვალეობა დაწვრილებით განისაზღვრა. ერთი ხელობის მუშაკს არ შეეძლო მეორე ხელობისთვისაც მოეკადა ხელი; მეწაღე მუდამ მეწაღეთ უნდა დარჩენილიყო და მეტყავე მეტყავეთ. ეს კიდევ ცოტაა, თითოეული ხელოსანი ვალდებული იყო უთუოთ წინ-და-წინ განსაზღვრული რიცხვი საქონლისა დაემზადებია, არც

მეტი და არც ნაკლები. ერთი სიტყვით ქალაქი ჩაიჭრა ჩოში ჩასვა თითოეული თავისი წვერი და უბრძანა არც იქით გადაექნო და არც აქეთო. პირადა თავისუფლების შეზოკვა, პირადი თაოსნობის შესუსტება აი, იმ დროის საქალაქო პოლიტიკა. მარა ამ კარგ-დახშულ საზოგადოებაში ჩაისახა და ნელ-ნელა განვითარდა ყლორტი მამავალი საზოგადოებისა. აღებ-მიცემობა და მრეწველობა თან-და-თან გაძლიერდა და მასთან ერთათ გაძლიერდა კერძო პირთა თაოსნობა და საქმიანობა. საქირო შეიქმნა ჩქარი და ბევრი საქონლის დამუშავება და აქეთ-იქით გადატან-გადმოტანა. ბაზარი გაფართოვდა, და რასაკვირველია უნდა გაფართოვებულიყო წარმოებაც. ამ ნაირათ, ერთი მხრით ცხოვრების შინაარსი შეიცვალა, ეკონომიური მდგომარეობა გადასხვაფერდა, ხოლო მეორე მხრით, ცხოვრების გარეგანი ფორმა, საქალაქო პოლიტიკა, ამქრული ხელ-ფეხ შეზოკვა ძველი დარჩა. და აი, მოხდა ეს ორი მომდინარეობა ერთმანეთს და ატყდა საერთო ყვირილი: ძირს ყოველნაირი ზღუდეები, გაუმარჯოს თავისუფალ მოძრაობასო! დაინგრა ბატონ-ყმობა სოფელში, დაიღწა ამქრობა ქალაქში. ქალაქი ხელში ჩაუარდა ახლათ ფენ-ადგმულ ბურჟუაზიას და ყველა მისი მოწყობილება თავის სასარგებლოთ ამუშავა. მისი იდეოლოგიური მიდრეკილება იყო თავისუფლება, რაც შეიძლება მეტი თავისუფლება, ხოლო მისი რეალისტური ლტოლილება — ფულის მოგება, რაც შეიძლება მეტი ფულის მოგება. გვაცალეთ საქმიანობა, გვაცალეთ მოძრაობა — აი, რა დააწერეს მათ თავის დროშას. და ეს დროშა გადაეფარა ყოველსავე, როგორც მთელ სახემწიფოს საერთოთ, ისე თვითოეულ მის ნაწილს კერძოთ. გაბატონებული ბურჟუაზიის იდეით და გრძნობით გაიქლენთა მთელი საზოგადოება, მთელი ერი... პიროვნების სრული თავისუფლება, მისი ეკონომიური მოქმედების ხელ-შეუხებლობა, ყოველივე სარბიელის მისთვის დათმობა — აი, ამ დროის საქალაქო პოლიტიკა. ქალაქი მხოლოთ შორიდან უცქერის მოქალაქეთა ხელჩართულ ბრძოლას და გამარჯვებულთ ანიჭებს პატივს და გავლენას. ეს აზროვნება ისე გაძლიერდა, რომ ამ საუკუნის პირველ ნახევარში ევროპას თითქმის არც ერთი დიდი ქალაქი უმთავრეს თავის საჭიროებას, როგორც მაგ. განათება, წყალი, მიმოსვლა და სხ. თვითონვე არ იკმაყოფილებდა. ყველა ეს კაპიტალისტთა ჯიბის გასასქელებელ წყაროთ იყო გადაქცეული და არის ბევრ ალაგას დღესაც.

ასე თუ ისე, ეკონომიურ ასპარეზზე მოიშალა ყოველნაირი ხელის შემშლელი ზღუდეები და გამეფდა მკაცრი, უღმობელი კონკურენცია. ამ საერთო მოძრაობამ ჩაითრია მთელი ხალხი, მთელი ერი. აი,


აქ არის ხსნა, ახლა შევიდეთ აღთქმულ ქვეყანაშია — გულუბრყვილოთ ქადაგებდნენ ეკონომისტები და ფილოსოფოსებო. მარა ჩქარა აღმოჩნდა, რომ თანასწორობის მაგერ, ხაღიხი უფრო და უფრო გაიყო უთანასწორო ნაწილებათ; ერთის ხელში მოგროვდა მთელი შეძლება, მეორეს კი წილათ ხედა სიღარიბე და მწუხარება. აღმოჩნდა, რომ თავისუფალი კონკურენციით ისარგებლა ძლიერმა სუსტის კიდევ უფრო დასასუსტებლათ და დასაჩაგრავათ. კაპიტალი მოგროვდა უმცირესობის ხელში და გაბატონდა უმრავლესობაზე და აი, ამ უკანასკნელმა მოართო ყვირილი: მოგვეშველეთ, დაგვიფარეთ, შეგვეწიეთ, თვარა ლამის არის ერთიანათ სული ამოგენადონო. . . .

ახლა წინ წამოაყენეს საზოგადოების და მისი ინტერესი. საზოგადო ინტერესი მოითხოვს უმრავლესობა არ შეეწიროს მსხვერპლათ უმცირესობასო — გამოაცხადეს მოგვიანებით პოლიტიკოსებმა და ეკონომისტებმა. სახელმწიფო შეუდგა სხვა და-სხვა კანონების გამოცემას მუშა-ხალხის დასაცავათ ერთის მხრით, და სხვა და-სხვა საწარმოვო საქმეებს-ს კერძო კაპიტალისტებისაგან ჩამორთმევას და თვითონ ამუშავებს მეორე მხრით (მაგ. რკინის გზები, ბანკები, ბირჟებო და სხ.). ამას აპყეა ქალაქიც. ახლა ამანაც მიიხედ მოიხედა თავის საზღვრებში და დაინახა თუ რამდენი ხალხი უსახლ-კაროთ აღამებს და ათენებს, რამდენი დანოტივებულ სარდაფებში ატარებს თავის ხან-მოკლე სიცოცხლეს და სხ. და სხ., ხოლო მეორე მხრით როგორ მდიდრებთან ერთი მუჭა კაპიტალისტები ქალაქის ხარჯზე და ქალაქს წყალობით. საჭირო შეიქმნა ამ დავრდომილთა დახმარება, მარა ამისათვის ფულია საჭირო. და აი, ქალაქმა დაიწყო სხვა და-სხვა საქალაქო საქმეების წარმოება. მარა ეს დაწყება ასე ადვილი არ გახლავს. ფულის პატრონები ამ საქმეებს ჯერ კიდევ თავის ხელ-უხლებელ სამფლობელოთ რაცხვენ და ქალაქს სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ. და რაც უფრო საკვირველია, ყველაზე უფრო ძველ და მდიდარ ქალაქს ჯერაც ვერ დაუღწევია თავი ასეთივე თავის ძველ და მდიდარ ბურჟუაზიას ცარცვა-გლეჯისაგან. მაგ. ლონდონის სასმელი წყალი ღვემდის კერძო კამპანიების ხელშია და მხოლოთ გასულ კვირაში საბჭომ გადაწყვიტა გამოყიდულ იქმნას ის კამპანიებისაგანო, და ისინი ნებაყოფლობით თუ არ დათანხმდნენ კანონით ვაიძულოთო. ამავე საბჭომ მხოლოთ წელს გადაწყვიტა ლონდონის ცხენის რკინის გზის გამოყიდვა. ესეც არ მოხდებოდა, რომ შარშან საბჭოს არჩევნების დროს კონსერვატორ კაპიტალისტთა პარტია არ დამაცხებულოყო და ხმოსანთა უმრავლესობა პროგრესისტებისაგან არ შემდგარიყო. და აი, ახლა პროგრესისტები ასწო-

რებენ იმას, რაც კონსერვატორებმა მიანგრ-მოანგრეს. ამ ქამათ, ევროპაში ერთათ ერთი პარტია, რომელიც აქ ახალ გზას სრულიად დაადგა და დიდ ნაბიჯსაც აკეთებს...

ამნაირათ, საშუალო საუკუნოების ქალაქთა მოვალეობა იყო თვითოეული მოქალაქე ვიწრო ფარგალში ჩაესვა და მით ხელოვნობა გაეწეს-რიგებია. ეს პირადი თავისუფლების უარისყოფაა. ახალ ხანაში ქალაქთა მოვალეობა შეიქმნა პიროვნებისთვის თავისუფალი ასპარეზი მიეცა და მის საქმეში არ ჩარეოდა. ეს პირადი თავისუფლების უარისყოფის უარისყოფაა, ეს პიროვნების გაღმერთებაა. ხოლო ღღეს ქალაქის მოვალეობა გახდა მოქალაქეთა საერთო ინტერესის დაცვა და მუშა-ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესობა. ეს ერთნაირი თავისუფლების შეზღუდვაა, მარა თავისუფლების ცარცვა-ყვლეფის, ხოლო მისი სრულიად მოსპობა მომავალი წყობილების საქმეა. მოკლეთ, ამ სამი ხანის ქალაქი წარმოადგენს სამ ნაირ პოლიტიკას: პირველი — პოლიტიკას ამქრულს, მეორე პოლიტიკას ინდივიდუალურს, მესამე პოლიტიკას სოციალურს.

ნ. ჟორდანია.



სხვა-და-სხვა ამბავი.

ქართულ დრამატიულმა კომიტეტმა უკვე დაიწყო წარმოდგენების გამართვა. ამ სეზონში სულ გაიმართება 21 წარმოდგენა, ამათში 8 საბენეფისო წარმოდგენა იქნება. ამასთანავე ადგილების ფასი შესამჩნევათ დაუკლო, რომ იმით მცირე შეძლების ხალხსაც გაუადვილოს თეატრში მოსელა. რეპერტუარი რაც შეიძლება განახლებულია.

ხუთშაბათს, 12 ამ თვეს, წარმოდგენილ იქნება ავ. ცავარლის პიესა „ერთი ნაბიჯი წინ“ ბაბო ავალიშვილის ქალის სასარგებლოთ. ბაბო ავალიშვილის ქალი 28 წელიწადი ემსახურებოდა ქართულ სცენას და ითვლებოდა ერთ მშრომელ არტისტათ. ქართულ სცენას შესწირა თავისი სიყმაწვილის ძალ-ღონე და თავისი ჯანმრთელობაც. ამ ქამათ ის ძლიერ ავათ არის (პატარა ტვინის დამბლა აქეს) და თანაც უკიდურეს სიღარიბეშია ჩავარდნილი. იმედია ქართველი საზოგადოება დაფასებს ავალიშვილის ნაღვაწს და უკანასკნელათაც ხელს გაუწეფდის მისამეფლებლათ.

ქალაქის გამგეობის ორი წევრი ევროშიშვილი და

ივანენკო მთავარ-მართებლის განკარგულებით გადაყენებულ იქნენ თანამდებობიდან. მათ ალაკას საბჭომ სხეები უნდა აირჩიოს. ამბობენ ეს განკარგულება გამოიწვია გამგეობის საქმეთა ახალმა რევიზიამო. გამგეობის კასირი ტერ-მიქელოვი, თანახმად თავისი თხოვნისა, განთავისუფლებულ იქმნა ამ თანამდებობისაგან. აგრეთვე ქალაქის ინჟინერმა მიხალოვმა თავი დაანება სამსახურს. პირველი მსახურობდა ივანენკოს ხელ-ქვეით, ხოლო მეორე ევრმიშევის...

თფილისის გუბერნატორმა აცნობა თფილისის მოურავს, რომ მთავარ-მართებელმა, ქალაქის დათვლიერების დროს, დიდი სიბინძურე და უსუფთაობა შეამჩნია ქუჩებზე და მოედნებზე და ახლავე მოახდინეთ განკარგულება დაასუფთაონ ყველა ეს ადგილებიო.

მას შემდეგ რაც საბჭომ სახლის პატრონებს დაავალა ქუჩების გაწმენდა ქალაქის სისუფთავემ უფრო წიბორძიკა. სახლის პატრონები არ ასრულებენ ამ დავალებას და მათ პროტოკოლებს უყენებენ. რიცხვი ამ პროტოკოლებისა 15 ივლისიდან პირველ ნოემბრამდე 324-მდის ასულა. ყველაზე უფრო ურჩი მე-IX განყოფილება ყოფილა, აქ 96 პროტოკოლი შეუყენებიათ.

„ახ. მიმოხ.“ სიტყვით ფოთის საეპარქიო სათლის ზავოდში ბოროტ-მოქმედება აღმოუჩინიათ, რის გამო ეპარქიის ბლალაჩინთა კრებას ამოუჩინებია სარევიზიო კომისია ზავოდის საქმეების გასაშინჯათ.

ქ. გროზნას ნავთის მწარმოებელთ განუზრახვეთ დაარსონ სალამოს კურსები და წერა-კითხვის სკოლები მოზდილ მუშათათვის.


ოდესაში აარსებენ მუშათა ბირჟას. ბირჟის კომიტეტის ერთ წევრთაგანს ასეთი პროექტი წარუდგენია ამის შესახებ: მუშათა ბირჟა იქნება მოთავსებული ნავთსადგურთან განსაკუთრებითი შენობაში, რომელიც აშენებულ უნდა იქნას ამ მიზნისთვის. შენობა იქნება აგურისა სიგძით 5 საყენი და სიგანიო მ, იატაკი ასფალტის ექნება და დაჯდება სულ 3,000 მ. ბირჟის გამგეს დანიშნავს ნავთსადგურის მმართველობა. ხარჯი 1,500 მ. არ გადაცილდება. ბირჟა ღია არის შუადღემდის. აქ თავს იყრიან ნავთსადგურის მუშები, აქავე მოდის მათი მქირავებელიც და ერთმანეთს პირობით ეკვრიან. მქირავებელი ქირაობს მუშათა მთელ გუნდას, ხოლო ეს გუნდი თავის შორის ირჩევს სამ წერა-კითხვის მკოდნე პირს და ბირჟის გამგეს განუცხადებს ასეთი პირობით შეეყარით პატ-

რონებსო. პირობის მუწლები ზონარ გაყრილ დავთარში ჩაწერება და კოპო გადაეცემა მუშებს. თუ რამე უთანხმოება ჩამოვარდა მუშათა და პატრონს შორის, ამას ბირჟის გამგეობა წყვეტს. თუ მუშა შუადღის მერე ამუშავებს, მთელი დღის ქარა ეძლევა. ყველა ეს შეეხება მხოლოდ ნავთსადგურის მუშებს და ბირჟაც ნავთსადგურის კაპიტანის უფროსობაში იქნება. („სავაქრო-სამრეწ. გაზ.“)

წელს ბაქოდან ნაკლები ნავთი გაუტანიათ ვიდრე გასულ წელს, თუმცა ტარიფიც ნაკლები იყო და ამერიკის კონკურენციაც, ომიანობის გამო, მცირე. ეს მოვლენა აიხსნება იმით, რომ ამ ბოლო დროს რუსეთის ფაბრიკა ზავოდები ძალიან ბევრ მაზუტს თხოულობენ და ამან ასწია ფასი დაუმუშავებელ ნავთზე. მაგ. ფუთი მაზუტი იყდება 7—9 კ.პ., ხოლო დამუშავებული ნავთი 11—12 კაპ. ცხადია, მწარმოებელისათვის უფრო მომგებიანია მაზუტის გაყიდვი და ნავთის ქარხნების შემცირება, რაც მართლაც მოხდა. დღეს ბაქოს ნავთის ბაზარზე მაზუტი ბატონობს და მისი ფასიც თან-და-თან მატულობს. (იგივე გაზ.)

ბათუმიდან გეწერენ: 4 ამთვეს, დილის 11 საათზე, როტშილდის ქარხანაში ერთი საზარელი შემთხვევა მოხდა. საქონლის საწყობ „სკლადში“ 7—8 არშინის სიმაღლიდან გადმოინგრა 4000-მდე იაშიკები, ორ-ორ ფუთიანი ქესტიანკებით და ქვეშ მოჰყვა ერთი ნოქარი და რამდენიმე მუშა. თითქმის ნახევარი საათი იყვენ იაშიკების ქვეშ და ყველა საშინლათ დასახიჩრდა. ძლიერ დაშავებულია სამი მუშა და ნოქარი. ერთს თავი, მკლავი და შუბლი აქვს მეტის-მეტათ დაზიანებული, მეორეს და მესამეს გულმკერდი და გვერდი აქვს დამტვრეული. ესენი სამხედრო საავათმყოფოში გაგზავნეს, დანარჩენს იქავე წამლობენ. არც ერთი ეს არ მახდებოდა ქარხნის უფროსს რომ ნოქარი ტ. სიტუვა დაეჯერებია და იქ მუშაობა შეეჩერებია ნოქარმა განუცხადა სწორეთ ოცი წუთის წინ: ეს იაშიკები ძალიან გადმოხნილია და თუ არ მოვეზარდით რამე მოხდებოა. უფროსმა უბრძანა: გაასწორეთ და აღარ ჩამოინგრევაო. შეუდგენ სწორებას, მარა, როცა დაინახა რომ გასწორება აღარ შეიძლებოდა, უფროსმა ბრძანა დაანებეთ თავი, მოშორდითო, მარა გვიანდა იყო. უბედური შემთხვევა უკვე მოხდა.





„კვალის“ კორესპონდენციები.

სიღნაღი. ლამის არის დროთა ბრუნვამ თავისი გარტანოს და ქ. სიღნაღი განათლების ფენის ხმას აჰყვებს. სწავლის ყოველად შემძლებელი სხივი, ქალაქის და მის მამების უნებურათ, აქეთ-იქიდან ეპარება სიღნაღს. აი, 17 ამ ღვინობისთვის ქალაქის დაუხმარებლათ გაიხსნა აქ ერთი პირველდაწყებითი სასწავლებელი. მართალია პირველდაწყებითი სასწავლებელი დიდი საიმედო არ არის საზოგადოთ ქალაქებისთვის, მაგრამ სიღნაღისათვის კი დიდი საჩუქარია და წინამორბედა ბედნიერებასა. თუ რამდენათ საქირო და დროზე მოვლენილი იყო ეს სასწავლებელი, იქიდან ჩანს, რომ პირველ დღეს სკოლის დარსებისა 75 ყმაწვილი მოიყვანეს. ეს სასწავლებელი გახსნა სკოლების ზედამხედველმა ბ. პავლოვმა ლიონოზოვის სახელობაზე. ამ სასწავლებელს, როდესაც ისევ სომხის სამრევლო სკოლათ ითვლებოდა, ლიონოზოვმა შეწირა ორ სართულიანი სახლი, რომელიც წელიწადში წმინდა შეშოსავალს 600 მანეთს იძლევა და ითხოვა სკოლას მისი სახელი დარქმეოდა. მაშინ სომხებმა იუკადრისეს ამიტანა მცირე სასყიდლო სახელისათვის და უარი განუცხადეს. შემდეგ სომხების სკოლები დაიკეტა და ახლა მთავრობამ ლიონოზოვის თხოვნა შეიწყნარა და სახლები მიიღო. დღეს ამ სასწავლებლის წყაროს შეადგენს წელიწადში შენობის შემოსავალი 600 მანეთი და სწავლის ფული—ყმაწვილზე 5 მან. თუმცა ამ სასწავლებელში შესვლის ნება ყველა წოდების და სარწმუნოების ყმაწვილს აქვს, მაგრამ დღემდე მარტო სომხები არიან მსურველი, და თავს სკოლას ეძახიან. იქნება ესეც იყოს მიზეზი, რომ 75 ყმაწვილში ქართველი არც ერთი არ ურევია. ასეა თუ ისე დღეს ქალაქის ორ სასწავლებელს ერთი კიდევ მიემატა და გახდა სამი: ერთი სამკლასიანი სამოქალაქო ვაჟების სასწავლებელი, მეორე ქალების ორ კლასიანი და მესამეც ეს—პირველდაწყებითი. მხოლოდ ქალაქი არც ერთ სასწავლებელზე გროშსაც არა ხარჯავს თვითმართველობა ისე უტკებრის სკოლას, როგორც ავი დედინაცვალი თავის გერს. შარშან სამოქალაქო სასწავლებლის ზედამხედველმა, კერძო თაოსნობით და ნაცნობ-მეგობართა დახმარებით, გახსნა ქალების სასწავლებელი, რომელიც ქალაქს არ მოეპოვებოდა. პირველ ხანებში სკოლის მზრუნველმა ქალაქის დაუხმარებლათ რამდენსამე თვეს შეინახა სასწავლებელი, მაგრამ რადგან თანდათან სკოლა ფართოვდებოდა, მოსწავლეები ემატებოდნენ და საქირო გახდა მასწავლებელთა მომატებაც ამიტომ მიმართა ქალაქს დამხმარებოთ. თუ შენობის აგებას

ვერ შეძლებთ რამდენსამე თუმნით მაინც გამიმართეთ ხელი, ვიდრე მთავრობას მარიამის სასწავლებლათ დავამტკიცებინებ, რისაც სრული იმედი მაქვსო. ზედამხედველის წინადადებას დიდი ოპოზიცია დახვდა თვით მმართველობაში, სადაც, თურმე ბიერნი პირადი ინტერესებითაც იყვენ გამსჭვალულნი. წინადადებას არ თანაუგრძობდა თვით მამასახლისიც (სტაროსტა) და ერთი რჩეული ხომ იქამდის მივიდა, რომ პირ-და-პირ გამოაცხადა: სკოლას დახმარებას ხომ ვერ მიეცემთ და ვერა, ამას გარდა სამოქალაქო სასწავლებელსაც ჩამოვართვით ის შენობა, რომელსაც 600 მანეთათ ვუთმობთ წელიწადში და სხვა-და-სხვა დაწესებულებას მეტ ფასში მიეცეთ ან და ჩვენი სამმართველო იქ გადაიტანოთ, სკოლისთვის კი სადაც სურდეთ იქ იშოვნონ შენობაო. ამას მხარი დაუჭირა სხვებმაც. მხოლოდ ზოგნი კი, როგორც მაგ. მამასახლისის თანაშემწე, იმ აზრისანი იყვენ, რომ დახმარება სასწავლებელს უნდა აღმოუჩინონ, როცა ამას მთავრობა მოითხოვს და არა კერძო კაციო! მარტო ერთმა წევრმა ბ. ა. შ-ვმა დაცინიეთ იკითხა: ვის შეილებს ასწავლიან ამ სკოლაში, ჩვენსას თუ ზედამხედველისასო? ჩვენ მადლობელნი უნდა ვიყუეთ იმ კაცის, რომ ჩვენთვის ზრუნავს და დახმარება ხომ აუცილებლათ სავალდებულოა ჩვენი მხრითო. საყურადღებო ის არის, რომ თუმცა ხმოსანს შ—ოვს პასუხი არაფერ გასცა, მაგრამ ყველანი კი დათანხმდნ მამასახლისის აზრს და ეს კითხვა სამუდამოთ გადადეს; ინტელიგენტ წევრმა არამც თუ მხარი არ დაუჭირა შ—ეს, ცდილობდა კიდევაც მამასახლისისათვის ეს კითხვა სამუდამოთ გადაედებინებია. დიან, იმ ვაჟბატონმა, რომელიც რამდენსამე წელიწადს მასწავლებლობდა, სკოლის დახმარებაზე უარი თქვა. ხმას უმეტესობით კითხვა გადიდა და დაფიწყებას მიეცა. მხოლოდ ამავე თხოვნით მიმართა ქალაქს ამ წლის დასაწყისს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა და თანაც აღუთქვა, თუ თქვენ ქალების სასწავლებელს შენობას უშოენით ან ფულათ დაეხმარებით, მე პროგიმინაზიათ დაგმტკიცებთ და დანარჩენ ხარჯსაც ხაზინა იკისრებსო. ქალაქის მამები ცოტა არ იყოს ცუდ მდგომარეობაში ჩაცვიდნენ. ამას პირ-და-პირ უარს ვერ ეტყოდნენ. იფიქრეს, იფიქრეს და აქაც მშრალათ გამოვიდნენ, დაადგინეს: მადლობას გწირავთ ბ. მზრუნველო, მოგართმევთ კიდევ 600 მან. წელიწადში ჩვენი ქალების სასწავლებლისათვის, მხოლოდ ამ ფულებს ახლავე კი არა, როცა ოქვენ ქალების პროგიმინაზიას უკვე დაგვიმტკიცებთ და სწავლასაც დაიწყებთ ახალი პროგრამით, იმ დღიდანაო. ასე ბრძოლათ მოიქცენ, არც მწვაღი დაწვეს ქალაქის მამებმა და

არც შამფური. აღუთქვეს კიდევაც ფულები და არც მისცეს ვისმე რამე. ორკლასიანი ქალების სკოლა არსებობს, სადაც ქალაქელი ქალები სწავლობენ, მაგრამ ვაი ამისთანა არსებობას. მასწავლებლები თავის ღროზე ჯამაგირებს ვერ იღებენ, სწავლის ფასს თან-და-თან უმატებენ, მაგრამ მაინც ხარჯები ვერ დაუფარავთ და სახლის ქირაც ვერ გაუსტუმრებიათ. სიღნაღის მოხელეებმა რაკი ერთხელ იკისრეს სასწავლე ბლის დახმარება, რას იზამენ, ახლაც უნდათ შეინახონ. ახლა განიზრახეს საქველმოქმედო წარმოდგენით ფულის მოგროვება და ზოგისაც სხვათრივ დახმარება. მაგრამ ამ საქველმოქმედო წარმოდგენაზე არ დაიარება ხალხი. აი, როგორ ზრუნავენ ქალაქის სწავლა განათლებასზე ქალაქის თვითმმართველობა და ქალაქის პატივცემული მამები.


ქიზიყელი იმეჩელი.

ჭათურა. იყო ღრო, როცა ჭიათურაზე და მას აე-კარგიანობაზე ლაპარაკი არაეისათვის არაფერი საინტერესო იყო, რადგანაც ის თითქმის ერთ უკანასკნელ ადგილათ ითვლებოდა, მაგრამ თანამედროვე ცხოვრებამ დაარღვია ძველი პატრიარქალური სისტემა და ჭიათურასაც, როგორც სხვა მრავალს, გაბედვით შემოადგმევია ფეხი ცხოვრების ახალ ასპარეზზე. წინანდელი უსარგებლო ჭიათურა ვისთვის გინდა რომ სასარგებლო არ იყოს დღეს? ვინ არ იცნობს დღეს მას? ნეტა რა არის ამისთანა ეს თქვენი ჭიათურაო, იქნება იკითხოს ვინმე და მეც თამამათ ვუპასუხებ, არაფერი, გარდა იმისა, რომ გარეგან შესახედავათ ერთი დასახიჩრებული ადგილია, სწორედ „კატორღას“, რომ ამბობენ, იმისი მსგავსი, შიგ კი არის შავი-ქვის მადანი. აი, ეს არის ჭიათურა. აქაურმა შავმა-ქვამ ყველგან საკმაოთ სახელი გაითქვა და ვინ იცის, საიდან არ მოაწქდა ფულიანი და უფულო, და მერე ვინ? რასაკვირელია ჩვენებზე შედარებით ათ წილზე მეტი საზღვარ გარეთლები; ყველა ამათ საკმაო საქმე მონახეს; ფულიანი მწარმოებელი გამეფდა და უფულოც, რალაც მანქანებით ჯერ დემოკრატიის სამოსლით შეიმოსა და მერე, სხვისი ტყავით, პლუტოკრატის სახელიც კი დაიდო. აი, ამ ორმა მხარემ ჭიათურის უფროსათ გამოაცხადა თავი. ადგილობრივ მკვიდრთ კი ვერაფერი გააკეთეს თავიანთ მამულში, გარდა იმისა, რომ დასაწყისიდანვე პირველთ მოუხარეს თავი და რმათი სრული მონა მორჩილი გახდნენ; ვისაც თავის მამული ჰქონდა, ზოგმა ვერ შეამუშავა — ვერ მიიხმარა და სხვას ორ გროშათ ჩუგდო ხელში, ზოგმა კი მხეობა გამოიჩინა და თავისი მამულით თითონ მიიღო საარგებლობა, მარა უცოდინარობისა და მო-

უმზადებლობის გამო, იმასაც წვრილ-წვრილათ ეცლებოდა ხელიდან და იმ წინანდელ პლუტოკრატის ხელში გადადის. მგონი ჭიათურა, ეს გამოუღვეელი მადანი, მალე სულ სხვისი შეიქნეს.

წელს შავ-ქვას პედმა გაულიმა და მისმა მოთხოვნილებაც მოიმატა. ამას ხელი შეუწყო იმან, რომ რკინის გზაზე გადასატანი „ტარიფი“ შემცირებულია, მაგრამ მუშა ხალხი, ე. ი. გვირაბიდან გამოძლები და გადმომტანი და სხვაც ისევე უწინდელ დღეშია, მას არავითარი ცვლილება უკეთესობისადმი არ ეტყობა.

ა — ჩე საბუღიანი.




კვირიდან კვირამდე

„რაც მოგივა დაეთაო, ყველას შენი თავითაო.“ — ვისაც ჰქონდას იმას მიეცეს. — „დახოსნიკთა“ გავლენა. — უოკელგან კენჭი. — ქალთა საბასეპელი. — ეზოს პატრიარქობა. — ბუნების საკვებება.

ეს ჩვენი თვლისის თვითმმართველობა ძალიან გლახა მთვარეზე ყოფილა დაბადებული. თავიდანვე მას ისეთმა ყვემა დაჩხავლა, რომ მას მერე გულისძკერა აქვს ავარდნილი და შიშისაგან ვერა ღონისძიებით ვერ დამშვიდებულა. ხან აქეთ წაიბორძიკებს და ხან იქით, ხან აქ ჩაიჩოქებს და ხან იქ, სწორე სიარული ვერ ისწავლა და ვერა... აი მაგ. ყველგან დიდ მზადებაში არიან შავი ჭარის საწინააღმდეგოთ, ყველგან ფაცა-ფუცა და აქ, თვლისში, თურმე ქუჩები და მოედნები ისეთ მღვამარეობაში ყოფილა, რომ ღმერთს ჩვენი სიგძე სანთელი უნდა შეეწიროთ, ჭირი აქამდის რომ არ გაჩნდა და არ გაგვანადგურა. და აი, ამ საშინელ ამბავს ქალაქის უფროსნი ვერც გაიგებდენ, რომ მათთვის არ ებრძანებიათ, ნუ გძინავთ, მიხედ-მოიხედეთ თქვენს გარეშემოვო. „რაც მოგივა დაეთაო ყველა შენი თავითაო“.

* *

მარა ვინც რა უნდა თქვას, ქალაქის თვითმართველობა კი ხანია შეუდგა ერთი საქმის მოძებნას, ხან „კონკას“ წააფრინდა, ხან კიდევ რას, მარა ამათ. ბოლოს უცებ წააწყდა მეპურეს და ყასაბს და მოგვცათ სიტოცხლე აქ მან საქმე გაიკეთა. პური ძალიან გაიფდა ქალაქში, ყველა პურს ეტანება და ძალზედაც ეტანება, ხოლო ეს ახლა გამოკლეულა რომ ბევრი პური კაცს წყენს, რომ ასე



არ იყოს ევროპელები მაშ რატომ ჭამენ ცოტა პურს? — აფილოსოფოსდა ბ. გამგეობა. — ხორცი? ხორცი ძალიან დაძვირებულია, და ვაი, მისი ბრალი ვინც ყოველ დღე ხორცს შეექცევა, ეს ძალიან აენებს მის... ჯიბეს, მაშ პური გავაძვიროთ და ხორცი გავაიაფოთო. იოქვა ასრულდა. აი, როგორ აჩქარდა ქალაქის გამგეობა. და მერე რატომ? იმიტომ რომ პური ღარიბების ხვედრია, ხორცი კი მდიდრების და თვით მართველობაც, მოგვსენებათ, მდიდრებს ემსახურება...

* *

ამ სამსახურს, რასაკვირველია, მას არავენ უშლის, ეს მისი ხელობაა და ესეც რომ არ ასრულოს, მაშ რილასთვის არის ქვეყანაზე გაჩენილი. სამაგიეროთ სამსახურში ძალიანაც უშლიან ისეთ უნგარო მოღვაწეთ, როგორიც ცნობილი მასწავლებელი დუმბაძეა. აი, რას წერს მის შესახებ პროკურორი: ინსპექტორ ბოგდანოვმა აჩვენა, დუმბაძე საძაგელი კაციოა, ხოლო სხვები კი ძალიან აქებენ; ინსპექტორები გროზნოვი და პავლოვი ყოველთვის კარგათ იხსენიებენ მას, ხოლო ბაგდანოვი კი ყოველთვის ცუდათ. მაშასადამე დუმბაძეს უფლება ჰქონდა თავის მტრათ დაესახა ბაგდანოვი და აკრეთვე ორი მასწავლებელი მათიკოვი და ჩერკასოვი. მათიკოვი მასზე „დანარსებს“ წერდა მზრუნველთან, ამან გაჭრა, ის დუმბაძის ალაგას დანიშნეს, ხოლო ჩერკასოვი ჯაშუშობდა და დუმბაძეს ბაგდანოვთან აბეზღებდა... როგორ მოგწონთ ყველა ეს? „დანარსიკები“, ჯაშუშები და მათი ამყოლ-დამყოლნი შემოხვევიან ერთათ ერთ პატიოსან მუშაკს და დღე-მუდამ სიცოცხლეს უწამელენ და ესეც ერთ მიყრუებულ სოფელში (ყვარელში), სადაც ვერავის ხედავ ისეთს, რომ შენი მწუხარება განუზიარო და ზნეობრივი დახმარება მოიპოვო. ღრალა გასაკვირველია, ასეთ მდგომარეობაში, სასოწარკვეთილებლაში ჩაეარდეს ადამიანი ღ შესამართლობის ტყვიით გასწორება მოინდომოს. დიახ მან დაჭრა ბოგდანოვის ავან-ჩაენი, მასწავლებელი შმაკოვის ქალი და სასამართლო პალატამ გასულ კვირაში დაადგინა: ეთხოვოს ხელმწიფე იმპერატორს, რომ დუმბაძე განთავისუფლებულ იქმნას სასჯელისაგანო.

* *

და ასე განლაგეს ეს წუთისოფელი, ყველა თავის თავის სამსახურს ასრულებს. მარა ერთი ეიკითხოთ ვის სამსახურს ასრულებდენ ქუთაისის სააზ. სკოლის გამგენი, როცა ის ერთი შენობიდან მეორეში გადაიტანეს? ამაზე დღეს ერთი დავაა ატეხილი, ზოგი რას ამბობს, ზოგი რას. ერთი ამას ასე ხსნის: სკოლა გადმოვიდა ლორთქიფანიძის სახლიდან ჯაიანის

სახლში იმიტომ, რომ ჯაიანი ქალაქის თავის ლოლუას მომხრეაო, ხოლო ლორთქიფანიძე კი მოწინააღმდეგეა. აი ქუთათურთა პოლიტიკა! ის დალახვრული კენჭი, რომ ყველაფერში არ ჩაერიოს, ყველაფერი არ დაიმორჩილოს არ იქნება და არა. ჯაიანს სახლები აქვს გასაქირავებელი, ეს მისი ეკონომიაა, ჯაიანი ლოლუას მომხრეობს ეს მისი იდეოლოგიაა. მაშასადამე ლოლუას მეოხებით მან სახლი უნდა გააქირაოს და გააქირაოს უთუოთ საახნაურო სკოლისთვის, ალბათ ეს სკოლაც ლოლუობს, თვარა რალა მაინცა ღ მაინც სკოლა ჯაიანს აეკვიტა და ჯაიანი ლოლუას... არა, ეს ერთობ რთული ფილოსოფიაა და ისევე ქუთათური მეკენჭე თუ გაარკვევს, თვარა სხვა ვერავენ. აი, ერთი მათგანი კიდევაც შეუდგა ამის გარკვევას: ეს გულთმისნობაა და სხვა არაფერი! ხოლო სკოლის ახალ შენობაში რომ ბეშები და მასწავლებლები სიცივით იხოცებიან, ზოგს აციებს და ზოგს აცხელებს, მის გარეშემო რომ სადგომები არ მოიძებნებია და სხ. ასეთები — ამაზე კი არას მოგვითხრობს ის ჩვენი მეკენჭე...

* *

ან შეიძლება ამის შესახებ რამე ქუთაისის ქალებმა გეითხრან! ჰო, მართლა ქუთაისის ქალები! ისინი სრულებით არ გვანან სხვა რომელსამე ქალაქის ქალკბა. ჯერ ერთი რომ ქუთაისში თუ ვინმე ბატონობს, ეს უთუოთ ქუთაისის შენიერი სქესი. თვით მეკენჭეც კი მისი საშუალებით მეკენჭობს. და ისიც წელიწადში დიდი დიდი ერთჯერ გამოვიდეს დასანახავ ადგილზე. ხოლო ქალები კი მთელი წლის განმავლობაში ჯარასავით ტრიალებენ და ქალაქს მოსვენებას არ აძლევენ. ხან სალამოს გაპართეაა, ხან თეატრია, ხან ცეკვაა, ხან სკოლაა და ვინ იცის კიდევ რა. ახლა კიდევ წიგნებიც უნდა ვთარგმნოთ... მარა ყველა ამას მამაკაცები რალაც ეჭვის თვლით უყურებენ, ამათ არ ჯერათ მათი საქმე... მე კი ძალიან მინდა დავარწმუნო ეს ურწმუნონი, რომ თუ არ ქუთაისის ქალები, ქუთაისი ამდენ ხანს სოფლათ გადაიქცეოდა...

* *

ერთი ალიაქოთი ზესტაფონსაც აუყენებია, და ისიც რატომ? ბაზრობა ჩემი კარის წინ იყოს თუ შენისაო! კიდევ კარგი რომ ეს ეზოს პატრიოტობა ეზოშივე დაემალათ, მარა, არა ეს არ შეჭვერის თავგანწირულ ბრძოლასო და ლამის არის ქვეყანა გადაყრუონ. ჯერ ერთი მოდის, ხელში ჯვარაღსაწარეს დაუკავებია და სასოებით ფიცულობს: თვავთ ღმერთმა, იმის ხატმა, იმის გამაჩინებელმა... ჩემი ეზო ჯო-



ბო. ეს გაათავებს თუ არა, ახლა მეორე წამოდგება წინ და კიდევ ისე დიდებულათ შეუდგება ფრეს... იმიოდი და გაეე ახლა, ვინ ხატვ ფრესულობს და ვინ ხატვს ფრესულობს ამომბენ, ეს აფიზიოლობს ზესაფიზიონლო, ღმერთმა ქნას, სულ არაოაზში ამასეუ არა უშავს რა...

ბერძნობა გამოაფხვრება მოხდება ხოლმე ქვეყა-

ნაზე, საზოგადოთ, ბუნება გამოაფხვრებზე იფიზიონებს ჩიტები ფრეს-ფრესას შემოკვირენ და ქვეყანას ცალ-მ-სახებენ: ვაზაფხული, ვაზაფხული. უველი ამ მოძრაობა, სიხარული და ქიკვილი, მარა არის ისეთი სულდებულეტი, რომელიც, წინააღმდეგ ბუნების კონონისა, ჩანაშობების დროს დაკვირეს თვალმებს და თვის არსებობას სხევისაუ გააფიზიონებს. ეს მისი ფართო ფურთობა სწოროთ ვაზაფხულმდის გატარეს და რა-



გორკი კიდუნება აზარულდება, ეს თვის ჩაქირდავს ღ მიღს მიუცემა... ჩანაშობებამდის, ჩასაკვირელოია. არ გჯერებ? როცა დავსახლებ მამინ ხ-მ დაჯერებთ. ამ სულდებულეს სახელი ვახლავს ჩიტე-ჩი-ჩაჲ, ხალა მისი ბუდე ვაგეთი, იფიზიონაჲ, „ჩიოჩაჲ“ სეზონი და-წყო, ის უკვე არჩობინდა და არჩობინდა ისე ვაგეთი, რომ მკინი კულდებ დაადღეს ფეხი. დამ, კულდუ კი ხანია ფეხი დაადღეს, მარა მან ეს მხალით ახლა იფი-

ძნო და ახლაც იმიტომ იფიზიონა, რომ იანგარა მოა-ხლოიფებული და იანგარა, მო გესხენებათ, საყენის მომ-ტანი თეფა. „ჩიოჩაჲ“ აი, ამ საყენისთვის წარაგრობს, ის ახლაც ატყობიბებს ქვეყანას, მე არ დამიფიწყოთო... სახალიო „ჩიოჩა“! ამამ ჩვენც მოგებმარებათ: ნუ დაიწყებთ ქართულენო საწუალ „ჩიოჩაჲს“ და მის ბუდეს, იქონიით იმდენი შებრალო ხ... დეე გვაუფეს ბუნების ერთი საკვირელება...

ჩვენი სახიობა.

